INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.csb.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 5 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

Like 1,709 people like this.

საჯარო სამსახურის ბიურო

ეფექტური და გამჭვირვალე საჯარო მმართველობა საქართველოში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო სამსახურის ბიურო

www.csb.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
50,00%
68,45%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
25,00%
34,50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
26,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
28,57%
15,25%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
40,00%
30,38%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
48,75%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
60,00%
25,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

სასურველია ინფორმაცია ბიუროს უფროსის შესახებ მოიძიებოდეს შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში - ,,ბიუროს უფროსი", რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არამარტო ბიუროს უფროსის სახელის, გვარისა და ელ.ფოსტის მისამართის შესახებ, როგორც ეს მოცემულია განყოფილებაში - „დაგვიკავშირდით", არამედ აგრეთვე უფროსის ვრცელ ბიოგრაფიულ მონაცემებს, ფოტოსურათს და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითებას, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს მას თანამდებობიდან (ბიუროს მოქმედი დებულების თანახმად ბიუროს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი). აქვე უნდა მოიძიებოდეს ბიუროს უფროსის კომპეტენციის აღწერა და მისი მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



2. ბიუროს მოქმედი დებულების მე-4 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ბიუროს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბიუროს უფროსი. ბიუროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი სახის ინფორმაცია უფროსის მოადგილის შესახებ, რომლის თანამდებობაც, სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ მონიტორინგის ჩატარების დროისათვის იყო ვაკანტური. შესაბამისად, ვებ-გვერდზე შესაქმნელია (ქვე-) განყოფილება „უფროსის მოადგილე", სადაც მოყვანილი იქნება შემდეგის სახის ინფორმაცია მოადგილის შესახებ: მისი სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, ფუნქციების და იმ სფეროთა აღწერა, რომლებსაც კანონმდებლობის თანახმად კურირებს მოადგილე, აგრეთვე მისი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. ხოლო მანამ, სანამ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის", ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა" ან *მისთ.*

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ბიუროს ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი და ბიუროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

4. მონიტორინგის ფარგლებში ბიუროსთან კავშირის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო სამსახურის ბიურო არის თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს სამართალმემკვიდრე, რის შესახებაც სასურველია არსებობდეს საინფორმაციო ხასიათის მითითება ვებ-გვერდზე.

5. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ მოცემულია ბიუროს ფუნქციათა ძალზედ ზოგადი აღწერა. სასურველია, ბიუროს ფუნქციები მოცემული იყოს გაშლილი სახით, როგორც ეს ბიუროს მოქმედი დებულების მე-3 მუხლშია მოცემული:

ჩვენს შესახებ

მთავარი > ჩვენს შესახებ >

საჯარო სამსახურის ბიურო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ქვეყანაში საჯარო მმართველობის ადმინისტრაციული და საკანონმდებლო პოლიტიკის შემუშავება და ეფექტური საჯარო მმართველობის პრინციპების დანერგვა.

მიზნის მისაღწევად, სიტუაციის ანალიზზე, კვლევებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბიურო ახორციელებს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, საჯარო სამსახურების ადამიანური რესურსების მართვის სისტემების გაუმჯობესებას და ელექტრონული მმართველობის პროექტების დანერგვას.

საჯარო სამსახურის ბიუროს მისიაა ხელი შეუწყოს ეფექტურ და გამჭვირვალე საჯარო მმართველობას საქართველოში.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია საჯარო სამსახურის ბიუროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ბიუროს სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- ბიუროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი და ძირითადი ფუნქციების აღწერა;

- ბიუროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

- ბიუროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომრები.

სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, მათი ელ.ფოსტები და ტელეფონის ნომრები მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“. სასურველია აღნიშნული ინფორმაციაც აგრეთვე მოიძიებოდეს შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში - „სტრუქტურა“.

დაგვიკავშირდით

მთავარი > დაგვიკავშირდით >

საჯარო სამსახურის ბიურო
საქართველო, თბილისი, 0134, ინგოროყვას ქ. №7
ტელ. (+995 32) 22192727
ფაქსი: (+995 32) 22923378
E-mail: csb@csb.gov.ge

ბიუროს უფროსი **ირაკლი კოტეტიშვილი**	ikotetishvili@csb.gov.ge	2931912
აპარატის (დეპარტამენტის) მთავარი სპეციალისტი (მთავარი იურისტი) **ანა ჯღარკავა**	ajgharkava@csb.gov.ge	2931912
მთავარი ბუღალტერი **ედიშერ კუკავა**	ekukava@csb.gov.ge	2921766
აპარატის (დეპარტამენტის) მთავარი სპეციალისტი (IT) **დავით აღნიაშვილი**	daqniashvili@csb.gov.ge	2931912
აპარატის (დეპარტამენტის) მთავარი სპეციალისტი (IT) **დავით შონია**	dshonia@csb.gov.ge	2931912
დეკლარაციებზე მუშაობის დეპარტამენტის უფროსი **მაკა კურტანიძე**	mkurtanidze@csb.gov.ge	22923378
დეკლარაციებზე მუშაობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **თამარ ბერიძე**	tberidze@csb.gov.ge	22923378

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიების, ტენდერების, პროგრამებისა და პროექტების არქივი, სტატისტიკური მონაცემები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები, ბიუროს საქმიანობის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშები (ერთადერთი წლიური ანგარიშია 2009-2010) *და ა.შ.*

ამასთან, ბიუროს სიახლეების არქივზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ***მთავარ გვერდზე*** გადასვლით ანუ სასურველია შეიქმნას შესაბამისი განცალკევებული განყოფილება:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. არ მოიძიება ბიუროს ხელმძღვანელ პირთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;

9. წლიური ანგარიშებისათვის ალოგიკურ განყოფილებაში ,,პუბლიკაციები" მოცემულია ბიუროს 2009-2010 წლით დათარიღებული ანგარიში. სასურველია განყოფილებაში ,,ჩვენს შესახებ" არსებობდეს ქვე-განყოფილება ,,წლიური ანგარიშები", სადაც იქნება მოყვანილი ბიუროს შექმნის თარიღიდან მოყოლებული მისი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში.



10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ბიუროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე, არ მოიძიება ბიუროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია. შესაბამისად, სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს განცალკევებული განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსებული იქნება როგორც ზემოთ ხსენებული სტატისტიკური მონაცემები, ასევე შესაბამისი დინამიკა.

11. სასურველია ბიუროს ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-)განყოფილება - ,,პროგრამები/პროექტები“, რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და სახელმწიფო, მიზნობრივი *და ა.შ.* პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ბიურო. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

*(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ბიუროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენდა საჯარო სამსახურის ბიურო. აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულ იქნა ბიუროს მიერ, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/sajarosams.biuro_proeqtebi.pdf*);*

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

12. საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტები მოიძიება განყოფილებაში „რესურსები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“. სასურველია ხსენებულ ქვე-განყოფილებას გამოცალკევებულ იქნას განყოფილების სახით, გადაერქვას სახელწოდება და ეწოდოს - „სამართლებრივი აქტები“. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ბიუროს საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის, მინისტრების და ბიუროს უფროსის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. არ მოიძიება საქართველოს კონსტიტუციაც. აგრეთვე, სასურველია ბიუროს მოქმედი დებულება და შინაგანაწესი მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ განყოფილებებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა საკმაოდ მწირია:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

13. ბიუროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა ბიუროში მიღების წესის აღწერა.

14. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ბიუროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ბიუროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ტენდერები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას.*

მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sajarosamsbiuro_shesyidvebi.pdf*).*

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ბიუროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ბიუროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ

(სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, რომელშიც მოყვანილ იქნებოდა საჯარო სამსახურის ბიუროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ბიუროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

ამასთან, განყოფილებაში „არქივი“ მოყვანილია საჯარო სამსახურის ბიუროს 2010 წლის 24 თებერვლით დაღარიღებული ერთადერთი საკონკურსო განცხადება, ხოლო სხვა შემთხვევებში სახეზეა სხვა საჯარო დაწესებულებათა საკონკურსო განცხადებები. რაც შეუძლებელს ხდის მომხმარებლისათვის შეიქმნას სრულფასოვანი წარმოდგენა საჯარო სამსახურის ბიუროს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ:



- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

18. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ბიუროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ბიუროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ბიუროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/sajarosamsaxurisbiuro_budget0001.pdf*);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი ბიუროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ბიუროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე). *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ბიუროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული ადმინისტრაციისა* და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას.

  მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sajarosams.biuro_xelfasi0001.pdf*);*

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ბიუროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური,

მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ბიურო.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
46,67%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
75,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
68,42%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
71,43%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,2
0,4
0,6
0,8

➢ ძიება

ვებ-გვერდზე ძიების შედეგებში, იქ სადაც არ არის ახალი ამბის ვიზუალიზაცია სურათის სახით, ინტუიციურად ძნელი მისახვედრია თუ რომელ ღილაკს უნდა დავაჭიროთ, რომ სიახლე ბოლომდე ვნახოთ. შესაბამისად მომხმარებელს, რომელიც არ არის მიჩვეული ვებ -გვერდის სტანდარტებს, შესაძლებელია გაუძნელდეს ღილაკის მოძებნა:

დასახვეწია დეკლარაციის გვერდზე ძიების მოდული. თუ ძიებაში ავირჩევთ მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ გვერდს უჭირს ჩატვირთვა. მეორე საკითხია უკვე ძიების შედეგებში სასურველი ინფორმაციის ამორჩევა, სურათზე დააკვირდით ხელარმჯვნივ Scroll-ის სიმაღლეს:



ასევე გართულებულია ძიების მოდულში ნავიგაცია და სასურველი ორგანიზაციის არჩევა, სიაში თავმოყრილი ორგანიზაციების ძიება სასურველია შესაძლებელი იყოს საკვანძო სიტყვების გამოყენებით:



ძიების და შეფასების სისტემას, რომელიც კონტენტის დაბლაა განთავსებული, დაკარგული აქვს ფუნქცია, ანუ თუ რაიმე შედეგი მოვძებნეთ და შემდეგ დავაჭირეთ გაზიარებას, რეალურად არა ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაცია გავრცელდება, არამედ უბრალოდ ვებ-გვერდის დასახელება:

ბრაუზერ Opera-ში ქონებრივი დეკლარაციების ძიებს გვერდი მუშაობს ძალიან ნელა, რადგან ხარვეზის გამოსწორების დრო არის დაახლოვებით 10-12 წამი. ანუ მხოლოდ ყოველ 10 წამში შეგვიძლია რაიმე მოქმედების გაკეთება, მაგალითად სიის ჩამოშლა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში ბრაუზერებს შორის „ოპერა“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრაუზერია, გამოდის, რომ უმეტესობა მომხმარებლისთვის ქონებრივი დეკლარაციების მონაცემთა ბაზის სრულფასოვანი გამოყენება გარკვეულ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული.

➢ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ინგლისურ ვერსიაში, ერთ-ერთ კატეგორიაში გვაქვს ორი ბმული:



ორივე ბმულს გადავყავართ ერთი და იგივე გვერდზე:

1.



2.



თუმცა URL (ვებ-გვერდის ჩასაწერი ველი) განსხვავებულია;

➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ფორმიდან ელექტრონული გზავნილის გაგზავნის შემდეგ არ აღინიშნება წარმატებით განხორციელებული ოპერაცია, ანუ რეალურად გაიგზავნა თუ არა წერილი:



➢ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდზე, არასწორი პროგრამული კოდის ან ბაზაში არასწორი კოდირების მითითების გამო დარღვეულია ტექსტური ნაწილის ფორმატი, ტექსტებში კითხვის ნიშნები არ უნდა ჩნდებოდეს:

ecember 13, 2010. Competition in Ministry of Agriculture of Georgia

ubject to article 31 of the Law on Public Service, the Civil Service Bur
ompetition in the Ministry ◆of Agriculture of Georgia for the various positions.

ugust 9, 2010. Competition in the National Parliamentary Library of Ge

ubject to article 31 of the Law on Public Service, the Civil Service Bur
ompetition in the National Parliamentary Library of Georgia for the various posit

ugust 9, 2010. Competition in the National Bank of Georgia

ubject to article 31 of the Law on Public Service, the Civil Service Bur
ompetition for the position of chief specialist of Credit◆ Risks Division of S
epartment in the National Bank of Georgia.

2 3 4 5 6 > >>

თ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციუ
საპროცესო კოდექსები.
◆
შენიშვნა: "ვ", "ზ" და "თ" ქვეპუნქტებში მითითებული კანონმდებლობ
ცოდნა კანდიდატს მოეთხოვება სტაჟირების განაცხადში მითითებუ
სპეციალიზაციის გათვალისწინებით
◆
დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნ
საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სტაჟირე
კომისიის სამდივნოში (მის: თბილისი, გრიგოლ რობაქიძის N7/ა, ტელ: 53-09-14/1
უნდა წარადგინონ:
სტაჟირების განაცხადი (გაიცემა ადგილზე) ◆
ავტობიოგრაფია
ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომით 3/4)
პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან
ორი რეკომენდაცია გაცემული კომპეტენტური პირების მიერ
◆
სტაჟირების კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კონკურსანტმა ასევე უნ

➢ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდი წარმატებით არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან (სხვა საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებთან შევადარებით). ერთადერთი, რაც შეიძლება აღინიშნოს ვებ-გვერდს აკლია პირდაპირი ბმულის გაზიარების ფუნქცია. Share - ღილაკიდან ბმულის გაზიარებას მომხმარებელთა უმეტესობა არ იყენებს:



➢ უსაფრთხოება

ვებ-გვერდზე, დეკლარაციების ძიებაში არ იფილტრება საკვანძო სიტყვები, რაც ზრდის ვებ-გვერდის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება:

შეფასების შედეგების მიხედვით ვებ-გვერდი აშკარად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და სხვა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდებითან შედარებით მაღალ საფეხურზე დგას, განსაკუთრებით ვებ-გვერდზე web 2.0 ფუნქსიების ინტეგრაციის კუთხით, თუმცა ვებ-გვერდი იდეალურისგან მაინც შორს არის. ვებ-გვერდს აკლია ისეთი მარტივი ფუნქციები, როგორიც არის ბეჭდვა, RSS არხი და სხვა. ასევე ვებ-გვერდში შეიმჩნევა წვრილმანი ხარვეზები, ისეთი, როგორიც არის, მაგალითად, საკონტაქტო ფორმიდან ელ-წერილის გაგზავნის შემდეგ წერილის გაგზავნის დადასტურების არ არსებობა და სხვა.

ჩვენ ასევე შევაფასეთ საჯარო სამსახურის ბიუროს ელექტრონული რესურსები რომლებიც ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოში ელექტრონული მმართველობის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებისათვის: hr.gov.ge და declaration.ge

www.hr.gov.ge ზოგადი ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

ვებ-გვერდზე, ძიების ღილაკზე, „მაუსის“ მიტანის დროს არ გამოდის სპეციალური ნიშანი (მაუსის მიმთითებელი). ეს *მიმთითებელი* მომხმარებელს აცნობს, რომ ესა თუ ის სურათი არის ღილაკი, ამ შემთხვევაში კი გაურკვეველი რჩება ეს უბრალოდ სურათია თუ ფუნქციონალურად დატვირთული ღილაკია. ასეთ ღილაკზე CSS-ის მეშვეობით აუცილებლად უნდა გაიწეროს კოდი, რომელიც უზრუნველყოფს მაუსის მიტანისას კურსორის სახეცვლილებას:



ანალოგიურ შეიძლება ითქვას ვრცელ ძიებაზეც:



კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ძიების ხარისხზე, ეს არის შედეგების გამოტანის შეტყობინებები. ვებ-გვერდზე წარუმატებელი ძიების შედეგად არ გამოდის არანაირი შეტყობინება:



ინფორმაცია თუ ვერ მოიძებნა აუცილებლად უნდა გამოვიდეს შესაბამისი შეტყობინება;

ავტორიზაციისას ან ელექტრონული შეტყობინებების გამოწერისას, შეამჩნევთ, რომ შეტყობინება გამოდის, თუმცა ის გაკეთებულია Javascript-ის Alert-ით:



ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ბრაუზერი კი გამოიტანს შესაბამის შეტყობინებას მონიტორზე, თუმცა რადგან, ყველა ბრაუზერს არ აქვს უნიკოდის მხარდაჭერა, ძველ ბრაუზერებში გვექნება გაურკვეველი სიმბოლოებისგან შემდგარი შეტყობინებები.

პრობლემის გადაწყვეტა: ეს შეტყობინებები უნდა გამოვიდეს სხვა ფორმით, მაგალითად პირდაპირ ვებ-გვერდზე დაიწეროს.

Javascript-ის არასწორად გამოყენების გამო, გართულებულია ვებ-გვერდის გაზიარების ფუნქცია, ანუ სურათზე ხელმარჯვნივ აღნიშნულ კატეგორიებს აქვთ ერთი და იგივე მისამართი/ბმული. შესაბამისად თუ მომხმარებელს უნდა ერთ-ერთი კატეგორიის გაზიარება ეს შეუძლებელია ბმულის დაკოპირებით:



ვებ-გვერდზე ასევე აღმოჩნდა ერთი უცნაური შეცდომა. თუ დააკვირდებით ამ სურათს, შეამჩნევთ, რომ ერთი და იგივე ბრაუზერში გახსნილია ერთი და იგივე ვებ-გვერდი, განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ ერთ ბრაუზერში წერია hr.gov.ge, ხოლო მეორეში www.hr.gov.ge, უცნაური კი ის არის რომ ერთ ფანჯარაში ავტორიზირებული მომხმარებელი ჩანს, ხოლო მეორე ფანჯარაში არა-ავტორიზირებული:



www.declaration.ge ზოგადი ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემები:

დეკლარაციების გვერდზე თუ მომხმარებელი ეძებს მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს შესახებ არსებულ ყველა ჩანაწერს, მას შეუძლია სამსახურის ველში აკრიფოს ტექსტი „თავდაცვის სამინისტრო“ და ლოგიკურად ვებ-გვერდმა უნდა შესთავაზოს შესაბამისი ჩანაწერი: „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“, თუმცა ეს არ ხდება. მიზეზის არის ის, რომ მომხმარებელმა ჩანაწერის გაკეთება არ დაიწყო სიტყვა „საქათველო“-თი. ანუ, საერთო ჯამში, ძიების ამ მოდულს თავისი ფუნქცია დაკარგული აქვს, რადგან თუ მომხმარებელმა ზუსტი თანმიმდევრობით არ გაწერა სამინისტროს ან ორგანიზაციის დასახელება ვებ-გვერდი არ შესთავაზებს მას შესაბამის შედეგებს. რაც შეეხება ალტერნატიულ ძიებას, რომელშიც იგულისხმება მთლიანი სიის ჩამოშლა და მასში ძიება, ორგანიზაციებისა და სამინისტროების სიის სიდიდიდან გამომდინარე მომხმარებელს უჭირს სასურველი ინფორმაციის სწრაფად და ადვილად მოძიება:



ძიების შედეგებში, რომელიც ნაწილდება რამოდენიმე გვერდზე, ასევე რთულია სასურველი ინფორმაციის მოძიება. შედეგს უნდა ჰქონდეთ სორტირებისა და გაფილტვრის ფუნქცია, რომელიც გაუადვილებს მომხმარებელს სასურველი ინფრომაციის მოძიებას.

PDF ვერსია

დეკლარაციები განთავსებულია ვებ-გვერდის ბაზაში, საიდანაც ხდება PDF ფაილის გენერაცია, რეალურად მარტივად შესაძლებელია PDF ვერსიას ჰქონდეს ალტერნატიული ვერსიები HTML-ში და Excell-ის ფორმატში. ვფიქრობთ ეს მნიშვნელოვანია, რადგან თუ მოხდა დეკლარაციების HTML ვერსიის გენერირება, იგი ხელმისაწვდომი იქნება ყველა პერსონალური კომპიუტერისთვის, რადგან მას არ სჭირდება დამატებითი პროგრამების ინსტალაცია და ამავე დროს, მომხმარებელს საშუალება ექნება საძიებო სისტემების გამოყენებით გაეცნოს ან/და იპოვოს

დეკლარაციებში ასახული ინფორმაცია. არსებული მონაცემების თავმოყრა Excell-ის ფორმატში გაუადვილებს მომხმარებელს ინფორმაციის სორტირებას და ანალიზს, აღნიშნული დასადასტურებლად გამოდგება „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ დეკლარაციების ერთიანი ბაზის შექმნის მაგალითიც http://transparency.ge/blog/pshemosavlebis-deklaratsiap.

გაზიარება

ვებ-გვერდზე მოძიებული ინფორმაციის გაზიარება შეუძლებელია, ეს გამოწვეულია Javascript/Ajax-ის არასრულყოფილი კოდის გამო. თუ დააკვირდებით ინფორმაციის მოძიებისას არ იცვლება ვებ-გვერდის ბმული. ეს იწვევს რიგ პრობლემებს, მაგალითად შეუძლებელია ამ ბმულის სოციალურ ქსელებში გაზიარება, ხოლო საძიებო სისტემები საერთოდ ვერ პოულობენ ამ ინფორმაციას რადგან მათ არ აქვთ javascirpt/ajax ტექნოლოგიის მხარდაჭერა.

გამოსავალი: აუცილებელია ყველა მოქმედება აღიბეჭდოს ვებ-გვერდის მისამართში და დაიწეროს საძიებო სისტემებისთვის ალტერნატიული ცვლადების გადაცემის სისტემა.

ვებ-გვერდის მარტივი გამოყენება

ვებ-გვერდზე, საძიებო სისტემის პარამეტრების შეყვანის ადგილი განთავსებულია ხელმარცხნივ, ხოლო ძიების ღილაკი კი ხელმარჯვნივ. ეს ნორმალური მოვლენაა სტანდარტული გაფართოების მონიტორებისთვის, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყველა მომხმარებელს არ აქვს სტანდარტული გაფართოების მონიტორნი, ძიების პარამეტრების ჩასაწერი ველი და ძიების ღილაკი უკიდურესად იქნებიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი. ცდის ჩატარება შესაძლებელია მონიტორზე, რომლის გაფართოება არის სიგანეში 1800 px ან მეტი.

უსაფრთხოება

ვებ-გვერდზე არ იფილტრება GET ტიპის ცვლადები. ამ შემთხვევაში სერვერი კი უზრუნველყოფს შეცდომების დამალვას, თუმცა რეალურად ვებ-გვერდზე შეცდომები მაინც ხდება. ამ შეცდომების მეშვეობით შესაძლებელია ვებ-გვერდზე შეტევის განხორციელება, კონკრეტულად Blind Sql Injection-ის ტიპის (აღსანიშნავია, რომ მათ შორის აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გამო რიგმა ქართულმა ვებ-გვერდმა ვერ გაუძლეს მათზე განხორციელებულ კიბერ შეტევებს).

ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ სად არის ამ ტიპის შეცდომა დაშვებული. თუმცა, საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლების დაინტერესების შემთხვევაში სრულ ინფორმაციას მივაწვდით აღნიშნული ტექნიკური პრობლემის შესახებ.